



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 083/14<sup>1</sup> მიმოხილვა

### 1. ფაქტები

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე თ. ჩ.-ს (ყოფილი კლიენტის) საჩივრის განხილვისას (დისციპლინური საქმე 103/13) მოპასუხე ადვოკატმა სხდომის მიმდინარეობისას საჩივრის ავტორ თ. ჩ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ - შეაგინა და თავისი მობილური ტელეფონი ძირს დაახეთქა, რასაც წინ უსწრებდა პაექრობის დროს საჩივრის ავტორის მხრიდან ადვოკატის დაწყევლა.

### 2. პროცესუალური ისტორია

საქმის განხილველმა დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. დისციპლინური დევნა აღიძრა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

### 3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულება აქვს ადვოკატს საქმის განხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც.<sup>2</sup> ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. აღნიშნული პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. ადვოკატს მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ევალება პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფას რომლითაც არ დაირღვევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები.

კომისიის შეფასებით, ქცევის შინაარსიდან გამომდინარე ადვოკატი იმდენად მოუმზადებელია ფსიქოლოგიურად ამ პროფესიისათვის, რომ ეთიკის კომისიის წინაშე ვერ შეიკავა

<sup>1</sup> ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე 083/14  
<https://www.gba.ge/pdf/5c58291f1a683.pdf/5c58291f1a683.pdf>

<sup>2</sup> ეთიკის კომისიის 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილება, საქმე 025/12



თავი, რაც ცალსახად ადასტურებს ადვოკატის გაუწონასწორებლობასა და უპატივცემულობას, არა მარტო კლიენტის, არამედ ეთიკის კომისიის მიმართ.

ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია, თუმცა ადვოკატი მისი ქმედების გამომწვევ მიზეზებად უთითებდა საჩივრის ავტორისა და ეთიკის კომისიის ბრალეულობას, რომ ვერ შეძლო კომისიამ საჩივრის ავტორის დროული შეჩერება.

ეთიკის კომისია განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარე განზრახ ეცდებოდა ადვოკატის პროვოცირებას, ადვოკატი აღჭურვილი იყო თმენის ვალდებულებით. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე მესამე პირის, ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის ჩარევა ქმნის მეტ ემოციურ ფონს, ვინაიდან მხარეებს უწევთ ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება პოზიციების დასასაბუთებლად, რომელიც შესაძლებელია მათთვის არ იყოს სასურველი. ამასთან, ეთიკის კომისიის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ეთიკის კომისიის მიერ უზრუნველყოფილი იყო სხდომის მიმდინარეობა დისციპლინური სამართალწარმოების წესების შესაბამისად და მომჩივანის და ადვოკატს შორის წარმოშობილი კონფლიქტი დროის მხრივ იყო თანმხვედრი, რასაც მოყვა ეთიკის კომისიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება.

#### **4. დასკვნა**

ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები და სახდელად კომისიამ გამოიყენა 1 (ერთი) წლის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

**შენიშვნა:** გადაწყვეტილება გასაჩივრდა და სახდელის ნაწილში კომისიის გადაწყვეტილება შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, საქმე დს-შ/3-17. ადვოკატს დაეკისრა გაფრთხილება.